# ფემინიზმი



ფემინიზმი და მისი გავლენა ქალზე თანამედროვე საზოგადოებაში



# ᲤᲔᲛᲘᲜᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ:

## ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲜᲐᲞᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡᲐᲙᲔᲜ

ფემინიზმი არის მსოფლმხედველობა, რომლის მიხედვითაც ქალებს უნდა ჰქონდეთ ეკონომიკური, სოციალური, სამოქალაქო, პოლიტიკური და კულტურული უფლებები. ამ მიზნის მისაღწევად ქალებს ხანგრძლივი, წინააღმდეგობრივი და საინტერესო გზის გავლა მოუხდათ. ერთი მხრივ, ისინი იაზრებდნენ საკუთარ ადგილს საზოგადოებაში, სახელმწიფოში და მეორე მხრივ – იბრძოდნენ ჩაგვრის განმაპირობებელი კულტურული ნორმების შესაცვლელად.






საუკუნეებით გამყარებულ რწმენა – წარმოდგენებში ქალის ადგილი და რეალიზაციის ასპარეზი ზღვარგადასული, დეტერმინირებული იყო რეპროდუქციული ფუნქციით, შვილების აღზრდით და ოჯახურ – ნათესაური ურთიერთობებით.

კერიასთან მსხდომი ან მოფუსფუსე ქალების გონება მხოლოდ იმ ნივთებით და ადამიანებით იყო დაკავებული, რომელთაც მათი ხელები სწვდებოდა, მათი გული თანაუგრძნობდა. ფარდის უკან მდგომ მამაკაცებს ბევრჯერ აღუწერიათ ქალების ჭირ-ვარამი, მაგრამ ეს მაინც თანაგრძნობა იყო და არა თანადგომა. ვერავინ შეძლო “ქალის ხვედრის” გახმოვანება, მანამ, სანამ დედები, ცოლები და ქალიშვილები თავად არ ალაპარაკდნენ, თავად არ დასვეს მანამდე ვერდასმული კითხვები რა ხდება იქ, სადაც ჩვენ არ ვართ და რა მოხდება, როცა ოჯახის ზღურბლს გადავაბიჯებთ და შევალთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში?






სამყაროში არაფერია ისეთი, რაც ქალთა მოძრაობით არაა ნასაზრდოები.

# ფემინიზმი & მიზნები



ფემინიზმის ის სახე, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, აცნობიერებს, რომ ეპოქალური მასშტაბის კრიზისს უნდა უნდა უპასუხოს: ცხოვრების სტანდარტის გაუარესებასა და მოახლოებულ ეკოლოგიურ კატასტროფას; მძვინვარე ომებსა და საცხოვრებელი ადგილიდან მზარდ გასახლებებს; მავთულხლართებით შეკავებულ მასობრივ მიგრაციას; გაკადრიენრებულ რასიზმსა და ქსენოფობიას; და დიდი ბრძოლით მოპოვებული სოციალური და პოლიტიკური უფლებების მარცხს.



რადიკალური ფემინიზმის მიხედვით, აუცილებელია ძირეული ცვლილებები და მამაკაცებზე ორიენტირებული პოლიტიკისა და თვალსაზრისისგან გათავისუფლება. რადიკალები აკრიტიკებენ პატრიარქატს, როგორც ღირებულებათა ერთობას, რომელიც ნეიტრალურობის სახელით ნიღბავს უთანასწორობას და ფესვგადგმულია ცხოვრების ყველა სფეროში, ლიტერატურაში, ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში.


FEMINISMO
FEMINISMO




OUR TIME IS NOW
CAMILA ROSA

# “ქალებს აქვთ უფლებები”



# #მომავალიქალია




WOMEN
RIGHTS

თბილისის თავისუფალი აკადემია
სერია "მომავლის ლიდერი №8"




გამომცემლობა "ივერონი"
თბილისის, ჭურხა ნადირაძის 46
+995 322 36 91 60
+995 599 67 01 08